




საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კავსაძე კახი დავითის ძე



კ. კავსაძე

კავსაძე კახი დავითის ძე (5. VI. 1935, თბილისი, - 27. IV. 2021, იქვე), თეატრისა და კინოს მსახიობი. საქართველო. სახ. არტიტი (1981). სსრკ სახელმწ. (1979), კ. მარჯანიშვილის (2009) და შოთა რუსთაველის სახ. (2010) პრემიების ლაურეატი. თბილისის საპატიო მოქალაქე (2014). შოთა რუსთაველის სახ. თეატრ. ინ-ტის სამსახიობო ფაკ-ტის დამთავრებიდან (1959) დღემდე რუსთაველის თეატრის მსახიობია. მის მიერ განსახიერებული როლებიდან აღსანიშნავია: ვაზუბი (დ. გაჩეჩილაძის „ბახტრიონი“), მარსელი (გ. მდივნის „ტერეზას დაბადების დღე“), ლევან დადიანი (მ. მრევლიშვილის „ნიკოლოზ ბარათაშვილი“),

შუბოსანი ნილაბი (გ. ნახუცრიშვილის „ჭინჭრაქა“), ნოე (რ. ნეშის „წვიმის გამყიდველი“), ჯიმი, სიმონ ჩაჩავა (ბ. ბრეხტის „სამგროშიანი ოპერა“, „კავკასიური ცარცის წრე“), გლეხი, ყმაწვილი, მოცინარი, მეფე (ს.-ს. ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისა“), გურამი, დევდარიანი, ილიკო (ნ. დუმბაძის „მზიანი ღამე“, „საბრალდებო დასკვნა“, „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“), ჩონთა (ვაჟა-ფშაველას „მოკვეთილი“), მარკიზი დორსინი (მ. ბულგაკოვის „ფარისეველთა შეთქმულება“), თავადი კონია (მ. დადიანის „გუშინდელნი“), ლანცელოტი (ე. შვარცის „დრაკონი“), სოლეიმანი (ა. სუმბათაშვილის „ღალატი“), გენერალი ჰინდენბურგი, ჯექსონი (მ. კვესელავას „ას ერგასის დღე“), რასპუტინი (მ. ჯავახიშვილის „კვაჭი კვაჭანტირაძე“), ლომი, ფორტინბრასი, ლორდი ჰასტინგსი, აამორი (უ. შექსპირის „მაფხულის ღამის სიბმარი“, „ჰამლეტი“, „რიჩარდ III“, „ტიტუს ანდრონიკუსი“), ქრისტეფორე (რ. ჰარვუდის „მოხუცი ჯამბაზები“) და სხვ. 2001 ვაშინგტონში, სინეტიკ თეატრში, ინგლისურ ენაზე განასახიერა მუსა (ვაჟა-ფშაველას „სტუმარ-მასპინძელი“). კ-ის

კინოდებიუტი შედგა ფილმში „ეთერის სიმღერა“ (რეჟ. ს. დოლიძე, 1956).

წლების განმავლობაში ასრულებდა ეპიზოდურ როლებს. მის კინოკარიერაში გარდამტეხი აღმოჩნდა აბდულას როლი ფილმში „უდაბნოს თეთრი მზე“ (რეჟ. ვ. მოტილი, მოსფილმი, 1970). მონაწილეობს 80-მდე ფილმში, შექმნა განსხვავებული ხასიათის სახეები: ბაური („სამკაული სატრფოსათვის“, რეჟ. თ. აბულაძე, 1971), ინოჩენცი („ვერის უბნის მელოდიები“, რეჟ. გ. შენგელაია, 1973), სელიმი, („ერთი ნახვით შეყვარება“, რეჟ. რ. ესაძე, 1975), ელიბო („ღვინის ქურდები“, რეჟ. ვ. კვაჭაძე, 1975), საშიკო („აურზაური სალხინეთში“, რეჟ. ლ. დოლობერიძე, 1975), იორამი („ნატვრის ხე“, რეჟ. თ. აბულაძე, 1976), კოლა („სიყვარული ყველას უნდა“, რეჟ-ები: გ. შენგელაია, მ. ჭიაურელი უმც., 1980), სულხანი („ცხელი ზაფხულის სამი დღე“, რეჟ. მ. კოკოჩიაშვილი, 1981), რიპაფრატა („მიიღეთ გამონჭვევა, სენიორებო“, რეჟ. კ. სურმავა, 1982), მიხეილ კორიშელი („მონანიება“, რეჟ. თ. აბულაძე, 1984), დონ კიხოტი („ცხოვრება დონ კიხოტისა და სანჩოსი“, რეჟ. რ. ჩხეიძე, 1989), მანესტრო („ბესამე“, რეჟ. ნ. ახვლედიანი, 1989), ივანე მრისხანე („მეფე ივანე მრისხანე“, რეჟ. გ. ვასილიევი, 1991, რუსეთი), შეილოკი („შეილოკი“, რეჟ. ბ. ბლანკი, 1993, რუსეთი), ქეთოს ბაბუა („იავნანა“, რეჟ. ნ. ჯანელიძე, 1994), ელიზბარი („ორფეოსის სიკვდილი“, რეჟ. გ. შენგელაია, 1996), ბრიგადირი („სამოთხის გვრიტები“, რეჟ. გ. ჩოხელი, 1997), დონ კიხოტი („მიჯაჭვული რაინდები“, რეჟ. გ. ჩოხელი, 1999), მამა („შემთხვევითი პაემნები“, რეჟ. ლ. კოლუაშვილი, 2012) და სხვ. 2011 კ-ზე შეიქმნა ფილმი „ნეტავი იქ თეატრი არის?!" (რეჟ. ნ. ჯანელიძე). კ-ის მიერ განსახიერებულ ყოველ გმირს ემოციურად ტევადსა და ორიგინალურს ხდის მსახიობის ფართო იმპროვიზაციული შესაძლებლობა, მუსიკალობა, იუმორის გრძნობა, დახვეწილი პლასტიკა. თეატრსა და კინოში მაღალი პროფესიული კულტურით შესრულებული თითოეული როლი მაყურებლის განსაკუთრებულ სიყვარულს იმსახურებს.



კ. კ ა ვ ს ა ძ ე. დონ კიხოტი, კადრი ფილმიდან "ცხოვრება დონ კიხოტისა და სანჩოსი". 1989.

ლიტ.: სახალხო არტისტი კახი კავსაძე (შემდგ.: დ. ღვთისიაშვილი, ხ. კიკვიძე), თბ., 2011.

მ. კერესელიძე

